პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მწარმოებელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ТБИЛИССКОГО ГОРКОМА КП ГРУЗИИ И ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კომუნიზმის ეპოქაში ვართ | № 59 (10453) | შაბათი, 10 მარტი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციასა და არტელის საქმეთა მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივ განვითარებასა და განმტკიცებას, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველგვარი ზრდის საფუძველზე ხალხის კეთილდღეობის ზრდას, ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას. ამ საქმეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ეკონომიკურად ძლიერი, ორგანიზაციულად და ტექნიკურად დახმარების საფუძველზე, სულ უფრო მზარდი ეფექტურობით მომუშავე კოლმეურნეობა, და იმ საფუძველზე, რომ განვითარდეს თვით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ინიციატივა კოლექტიური მეურნეობის ორგანიზაციასა და გაძღოლაში ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში, ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე, განხორციელდა მთლიანი კოლექტივიზაცია. სოფლად შეიქმნა ახალი სოციალისტური წყობილება, რომელიც ძირეულად გარდაქმნა წარმოების და ათეულ მილიონობით გლეხთა ყოფა-ცხოვრების საფუძველები. დაჩაგრული და პრიმიტიული გლეხური მეურნეობის ნაცვლად ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მსხვილი, კოლექტიური სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რომელიც საშუალებას გვაძლევს ფართოდ გამოვიყენოთ მოწინავე მეცნიერების ყველა მიღწევა და გაწარმოოთ ტექნიკა, გამოვიყენოთ მოწინავე მეცნიერების ყველა მიღწევა და გაწარმოოთ ნამდვილ სასაქონლო პროდუქცია. საკოლმეურნეო წყობილებამ, შექმნა რა ახალი სოციალისტური ორგანიზაცია და შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერება, შეძლო ცხოვრების ფართო გზა გაუხსნა საბჭოთა სოფლის ყველა მშრომელს. ეფუძნებენ რა კოლექტიურ მეურნეობებს, კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ხელმძღვანელობდნენ და ხელმძღვანელობენ იმით, რომ შრომის ეფექტი მაღალი ნაყოფიერება და ახალი საზოგადოებრივი დისციპლინის შემდგომი განმტკიცება კოლმეურნეობებში შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ კოლმეურნეთა ნამდვილი თვითმოქმედებისა და არტელის მეურნეობის მართვაში აქტიური მონაწილეობის საფუძველზე.

საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კოლმეურნეთა მეორე ყრილობამ მიიღო სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება, რომელშიც განზოგადებულია ამ დროისათვის შეძენილი გამოცდილება კოლექტიური მეურნეობის გაძღოლისა. წესდების მიღების დროიდან იქ წელიწადზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში დიდი ცვლილებები მოხდა საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში, შეძენილია მრავალფეროვანი საზოგადოებრივი მეურნეობის მშენებლობის ახალი, მდიდარი გამოცდილება. გაიზარდა კოლმეურნე გლეხობის პოლიტიკური შეგნება, გაიზარდა ძალა მან მიერ საერთოსახელმწიფოებრივი ინტერესების გაგება, კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის პირობებში. შექმნილია საკოლმეურნეო წარმოების ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ამავითან კოლმეურნეობებში თითქმის მთლიანად მექანიზებულია მინდვრის ყველა სამუშაო, იზრდება სამუშაოთა მექანიზაცია მეცხოველეობაში და საკოლმეურნეო წარმოების სხვა დარგებში. გაფართოვდა და განმტკიცდა კოლმეურნეობათა ურთიერთობა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან, რომლებიც ახლა გადამწყვეტ ძალას წარმოადგენენ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის აღმავლობაში. ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა კოლმეურნეობათა გამსხვილება. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები და კოლმეურნეობანი განმტკიცებული არიან ხელმძღვანელი კადრებით და სპეციალისტთა კადრებით. მტს-ებსა და კოლმეურნეობებს ახლა, როგორც წესი, სათავეში უდგანან გამოცდილი მუშაკები, რომლებსაც უნარი შესწევთ პრაქტიკულად გადაჭრან მსხვილი მრავალდარგოვანი მეურნეობის ორგანიზაციის საკითხები. ხორციელდება დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი იმისათვის, რომ გადიდდეს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებით. შემოღებულია სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ახალი წესი, კოლმეურნეობებს მიეცათ შესაძლებლობა სასაქონლო პროდუქციის მოცულობის დარგში სახელმწიფო დავალებათა საფუძველზე თვითონ დაგეგმონ მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, რათა ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობა პროდუქციის ერთეულზე შრომისა და სახსრების რიცხ შეიძლება ნაკლები დახარჯვით.

ამ პირობებში, როდესაც საკოლმეურნეო მშენებლობა თავისი განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა და კოლმეურნეობებს უხდებათ გადაწყვიტონ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის ახალი ამოცანები, სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება უკვე ვერ მოიცავს კოლმეურნეობათა მრავალფეროვანი ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა მხარეს, მთელ ეს შემთხვევებში ზოგადს მათს ინიციატივას საზოგადოებრივი მეურნეობის ეს ისეთი წესის დამყარებაში, რომელიც ყველაზე უფრო შეესაბამება კოლმეურნეობის მუშაობის კონკრეტულ პირობებს.

მრავალ წერილში, რომლებიც კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისადმი [illegible] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტსა [illegible] სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, წამოყენებულია წინადადებანი სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების ზოგიერთი დებულების შეცვლის შესახებ და განსაკუთრებით აღძრულია საკითხები: საკარმიდამო ნაკვეთების გამოყოფის წესისა და მათი ოდენობის, კოლმეურნის კომლის პირად საბის, [illegible] ძაფიფი [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებები მოქმედების საბრძოლო პროგრამაა

მახარაძის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივის კრებაზე

სურათზე: მახარაძის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა კრება, მიძღვნილი პარტიის XX ყრილობის შედეგების განხილვისადმი. ტრიბუნაზეა ყრილობის დელეგატი ნოვატორი მეჩაიე ამხ. დარეჯან ტაკიძე.

ფოტო ვ. ლუცენკოსი.

★ ★ ★

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობაა. რაიონის მშრომელები პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს უპასუხებენ ახალი შრომითი საგმირო საქმეებით, საგაზაფხულო სამუშაოების სანიმუშოდ მომზადებითა და ჩატარებით.

6 მარტს გაიმართა მახარაძის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კოლექტივის კრება, მიძღვნილი პარტიის XX ყრილობის შედეგებისადმი. მტს-ის კლუბში თავი მოიყარეს ტრაქტორისტებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და აგრონომებმა.

კრება გახსნა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ა. ზაქარიაძემ. მოხსენება პარტიის XX ყრილობის მუშაობის შესახებ გააკეთა სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. **დარეჯან ტაკიძემ.** საქართველოს კომუნისტების მიერ იგი წარგზავნილი იყო პარტიის XX ყრილობის დელეგატად.

— ამხანაგებო! მე დიდი ბედნიერება მხვდა წილად, — ამბობს იგი, — მონაწილეობა მიმეღო ჩვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობაში. სიტყვები არ მყოფნის მოგითხროთ ყოველივე იმის შესახებ, რაც მე კრემლის დიდ სასახლეში ვნახე და განვიცადე. ყრილობის მიერ ძალებული გადაწყვეტილებები ჩვენი მოქმედების საბრძოლო პროგრამაა. ეს გადაწყვეტილებანი მკაფიოდ მოწმობენ კომუნისტური პარტიის განუწყვეტელ მზრუნველობას საბჭოთა ხალხისათვის, მისი მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

პარტიის XX ყრილობა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. მან შეაჯამა პარტიის XIX ყრილობიდან ჩვენი ქვეყნის მიერ განვლილი გზის შედეგები და დასახა კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის დიადი ამოცანები. ყრილობა პარტიის ურღვევი ერთიანობისა და ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მისი მჭიდრო დარაზმულობის, ხალხთა მასებთან პარტიის განუყრელი კავშირის ბრწყინვალე დემონსტრაციი იყო.

ყრილობამ საკვლევად მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმა, რომელიც ყრილობის დირექტივებშია ჩამოყალიბებული, საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომით ვადამდე იქნება შესრულებული.

ახალი ხუთწლედის რეალობა — ეს ჩვენ ვართ, საბჭოთა ადამიანები. ამიტომ საჭიროა თვითეულმა ჩვენგანმა პატიოსნად, მთელი თავისი ძალღონითა და ენერგიით იმუშაოს თავის პოსტზე.

მახარაძის რაიონის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ იწონებენ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ჩვენი ამოცანაა — კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მთელი ჩვენი ძალღონე და ცოდნა მოვახმაროთ ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას.

ჩვენი რაიონის სოფლის მეურნეობაში წამყვანი დარგებია მეჩაიეობა, მეციტრუსეობა და მეცხოველეობა. თქვენ, მექანიზატორებს, ყველა პირობა გაქვთ იმისათვის, რომ ჩვენთან — კოლმეურნეებთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიიღოთ სოფლის მეურნეობის ამ დარგების შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში.

1960 წლისათვის — მეექვსე ხუთწლედის პირველი წლისათვის მარტო სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ უნდა მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 1 მილიონი 600 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ ჩვენი რგოლის წევრებმა გადავსინჯეთ ჩვენი შესაძლებლობანი, გავითვალისწინეთ არსებული რეზერვები და გადავწყვიტეთ: მიმდინარე წელს სამ ჰექტარ ჩაის პლანტაციაზე მოვკრიფოთ 30 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ 5 ტონით მეტი შარშანდელთან შედარებით.

თავისი გამოსვლა ამხ. დ. ტაკიძემ იმით დაამთავრა, რომ გამარჯვებას უსურვა სახელოვან კომუნისტურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

კრებაზე დამსწრეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს XX ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილი მოხსენებების განხილვაში. სიტყვით პირველი გამოვიდა სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. **ს. ჩხაიძე.** ორატორი აღნიშნავდა, რომ ბრიგადის წევრთა სახელით იგი კისრულობს სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულონ ვადამდე — 10 ნოემბრისათვის, ნაცვლად 85 ჰექტარისა კვადრატულ-ბუდობრივი წესით დათესონ 95 ჰექტარ სიმინდი, დაზოგონ 15 ცენტნერი საწვავი და სანიმუშო მდგომარეობაში იქონიონ ყველა აგრეგატი.

სიტყვით გამოსულმა მეოთხე სატრაქტორო ბრიგადის ტრაქტორისტმა ამხ. **ვ. გოლიაძემ** განაცხადა, რომ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად კისრულობს წლიური საწარმოო დავალება შეასრულოს 110 პროცენტით, დაზოგოს 2 ცენტნერი საწვავი ერთ თვითეული ჰექტარის დამუშავების თვითღირებულება შეამციროს 5 პროცენტით.

პარტიის მახარაძის რაიკომის მდივანმა მტს-ის ზონაში ამხ. **ა. თოლორაიამ** კრების მონაწილეთა ყურადღება გამახვილა ნაკისრ ვალდებულებათა უფუოდ შესრულებისათვის ბრძოლის ღონისძიებებზე.

კრებამ ერთსულოვნად მოიწონა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი და მიიღო ახალი, გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი.

მტს-ის კოლექტივის სოციალისტური ვალდებულებები

პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელების მიზნით მტს-ის კოლექტივმა იკისრა:

მეექვსე ხუთწლედის პირველი წლის — 1956 წლის საწარმოო გეგმა შეასრულონ ვადამდე — 20 ნოემბრისათვის;

ერთწლიანი მარცვლეული კულტურების თესვა ჩაატარონ აგროტექნიკურ ვადებში, ბუნების გადამეტებით დათესონ 300 ჰექტარი;

მიაღწიონ იმას, რომ მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა ნათესების თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 20 ცენტნერი სიმინდი მარცვლად;

უზრუნველყონ წლიური გეგმის გადამეტებით 500.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მოკრეფა და სახელმწიფოსათვის ჩაბარება, ჩაის მოსავლიანობის აყვანა საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე 3.800 კილოგრამამდე;

მაქსიმალურად გაზარდონ თვითეული 15-ძალიანი ტრაქტორის საშუალო ლტკეობა, შეამცირონ თვითეული ჰექტარის დამუშავების თვითღირებულება 4 პროცენტით, დაზოგონ საწვავის 2 პროცენტი;

მეცხოველეობის სამ ფერმაში მოიწყონ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია. ფერმებში ზოოვეტმომსახურების, პირუტყვის მოვლისა და კვების გაუმჯობესებით უზრუნველყონ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1.100 კილოგრამი რძის მიღება.

ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისათვის მახარაძელმა მექანიზატორებმა 1956 წლისათვის კვლავ გამოიწვიეს სოციალისტურ შეჯიბრებაში უკრაინის სსრ ბენდერის რაიონის სტალინის სახელობის მტს-ის კოლექტივი.

ა ხ ა ლ ო ჯ ა ხ შ ი